ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

გამოკითხვის შედეგების გამოყენება

2020 წელი

მედიცინის დარგობრივი კომპეტენციების კვლევის შედეგები გათვალისწინებული და გამოყენებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის განახლების დროს. კვლევამ გამოავლინა მედიცინის პროგრამის განხორციელების დროს არსებული პრობლემები, აგრეთვე საშუალება მოგვცა გაგვეთვალისწინებინა ყველა დაინტერესებული მხარის ხედვა და მოსაზრებები.

აკადემიური პერსონალი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია პრაქტიკულ საქმიანობაში ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევების და მტკიცებულებების გამოყენების უნარი, რაც ემთხვევა კურდამთავრებულთა აზრსაც. ამ მხრივ კლინიკური კურსების განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრისას და კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, მიეცათ რეკომენდაცია მეტი ყურადღება გაამახვილონ და სტუდენტებს შეასწავლონ თანამედროვე გაიდლაინების და პროტოკოლების გამოყენა კლინიკურ საქმიანობაში, აგრეთვე ჩართონ ზოგიერთი გაიდლაინი სასწავლო სილაბუსებშიც. ყველა დაინტერესებული მხარე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეფექტურ კომუნიკაციას და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობას, ამ მხრივ ახალ პროგრამაში აქტიურად იქნა ჩართული სწავლების ახალი მეთოდები, როგორიცაა TBL- გუნდური მუშაობა, რამოდენიმე სასწავლო კურსში- PBL- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თუმცა სამომავლოდ იგეგმება ამ მეთოდის უფრო აქტიური ჩართვა სხვა სასწავლო კურსებშიც. ზ.ა. მეთოდები ავითარებს გუნდში მუშაობის, პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის მართვის და სხვების ხელმძღვანელობის უნარსაც.

კურსდამთავრებულები და აგრეთვე სტუდენტები მიიჩნევენ რომ ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, ამისათვის პროგრამაში ცალკე 10 კრედიტის ოდენობით გამოიყო კლინიკური უნარების კურსები, რომელის იწყება პირველი კურსიდან და გრძელდება მეხუთე კურსის ჩათვლით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს უკეთ განავითარონ პრაქტიკული უნარები, რისთვისაც უნივერსიტეტში მოეწყო კლინიკური უნარების ცენტრი, შეძენილ იქნა თანამედროვე მანეკენები, მოდელები თუ სიმულატორები. ,

პროგრამაში ინერგება კლინიკური დღიურის პორთფოლიოს წარმოება, პორთფოლიოს შეფასება და რეკომენდაციების მიცემა მოხდება ლექტორების მიერ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს უკეთ აღმოაჩინონ საკუთარ ცოდნაში არსებული ხარვეზები, მიიღონ უკუკავშირი ლექტორებისგან და უკეთ გაიაზრონ რა მიმართულებით უნდა გააძლიერონ მუშაობა. ამ მხრივ შესაძლებელია პროფესიული უნარების და ქცევების შეფასებაც. რასაც ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკადემიური პერსონალი. პროფესიული უნარების განვითარების, დამოუკიდებლად მუშაობის უნარების გამომუშავების მიზნით, პროგრამის სტრუქტური აგებისას, ბოლო მე-12 სემესტრში ჩართულ იქნა კლინიკური პრაქტიკის არჩევითი კურსები, სტუდენტს საშუალება ექნება 8 კრედიტის ოდენობით აირჩიოს მისთვის საინტერესო სფერო და ამ მიმართულებით გაიაროს კლინიკური პრაქტიკა ექიმის ზედამხედველობის ქვეშ. ეს კურსები არ მოიცავს ლექციებს და გულისხმობს სტუდენტების უშუალო მონაწილეობას პაციენტის გასინჯვის, თუ სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარების პროცესში.

დამსაქმებლები ასევე მიიჩნევენ, რომ სამედიცინო ჩანაწერები გაკეთება და დოკუმენტაციის წარმოება მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულისთვის. ამ მხრივ კლინიკური დღიური-ფორთფოლიოს წარმოება მოიცავს ზუსტად სამედიცინო ისტორიების წარმოებას მესამე კურსიდან მეექვსე კურსის ჩათვლით, რაც ყველა კლინიკური საგანში, კლინიკური უნარების შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია.

განახლებულ პროგრამაში ჩაერთო შეფასების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), MiniCEX და სხვა, რაც საშუალებას მოგვცემს ადექვატურად შეფასდეს კლინიკური უნარების ფლობის დონე.

სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, რომელიც ჩაერთო პროგრამაში საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც ეფუძნება დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტს მედიცინის პროგრამისთვის, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყველა დაინტერესებული მხარე.